ფასი 40 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 14 — შაბათი, 10 აგვისტო 1918 წ. — № 14

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **40** კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

## ფინანსთა სამინისტროს კანცელარია

წინადადებას აძლევს ყველა საკრედიტო დაწესებულებათ (სააქციონერო ბანკები, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის, «ბანკირების» კონტორები, საურთიერთო ნდობის საზოგადოებები, ქალაქის საზოგადო ბანკები, საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები, ლომბარდები [illegible] რესპუბლიკის საზღვრებში, ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილებაში. თავიანთი წესდებები და მისამართი, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქნას ყოველ თვიურად ბალანსი, დაწყებული ამა წლის **1** ივნისიდან.

კანცელარიის დირექტორის თანამდებობის დროებითი ამსრულებელი დ. ა ფ ხ ა ზ ი.

29 ივლისი, 1917 წ. № 950|234.

## განცხადება.

თბილისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც აწარმოებს მაზრაში საერობო არჩევნებს, ამიერ-კავკასიის ერობის დაწეს. დროებ. დადგ. მე 68 სტატ. ძალით ამით აცხადებს, რომ სამაზრო საერობო ხმოსანთა არჩევნები აღბულახის (ბელი კლიუჩ) ოლქში დანიშნულია **25** აგვისტოს (ახ სტ.), მანგლისის ოლქ.—**1** სექტემბერს (ახ. სტ.) იმავე დადგ. მე **75** სტატ. ძალით კომიტეტი იწვევს დაინტერესებულ პარტიებსა და ჯგუფებს, მსურველთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა აღბულახის ოლქში, შეიტანონ საარჩევნო კომისიაში კანდიდატთა სიები საყოველთაოდ გამოსაცხადებლად არა უგვიანეს **15** აგვისტოსი, მანგლისის ოლქში კი—არა უგვიანეს **21** აგვისტოსი. ხმოსანთა რიცხვი ასეა განაწილებული: აღბულახის ოლ.-**769**, მანგლისში—**569**.

ყოველგვარი ცნობებისა და განმარტებისათვის მსურველთ შეუძლიათ მიმართონ მაზრის აღმასრ. კომიტეტის კანცელარიაში, რომელიც მოთავსებულია მიწათმოქმედ. სამინისტროს შენობაში, მესამე სართული, პირველი ოთახი შესავლიდან მარცხნივ.

თბ. მაზრის აღმასრ. კომიტეტს პრეზიდიუმი.

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი
(25 წლის ნაშრომი)

**უცხო სიტყვათა ლექსიკონი**

მ ე ო რ ე შევსებულ-შესწორებული გ ა მ ო ც ე მ ა, აწყობილია უშპონოდ (მჭიდროდ), კორპუსით, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შეიცავს 1,100 გვ., განმარტავს ყოველგვარ უცხო სიტყვას და ანდაზა-წინადადებათ. ფ ა ს ი: ხ ე ლ ი ს მ ო მ წ ე რ თ ა თ ვ ი ს მშვენიერი კალენკორის ოქროს ვარაყიან ასოან ყდით 20 მან., უყდო—15 მან, (წინად შემოტანილის გამორიცხვით), არა ხელის მომწერთათვის—ყდით 30 მან., უყდოთ—25 მან. ფოსტის ხარჯი—2 მან. (ვინც პირდაპირ „თეატრი და ცხოვრ.“ რედაქციაში შეიძენს—ეს ხარჯი აღარ გადახდება. წიგნის გაწერა შეიძლება: თბილისი, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის გვერდით, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“-ს რედ. იოსებ იმედაშვილს.

5-1

რადგანაც გაზარზე გასასყიდათ გამოჩნდა
„დ. ზ. სარაჯიშვილის“ ყალბი „ეტიკეტით“

ბოთლებში ჩამოსხმული მიმგზავსებული კონიაკი, ფირმის გამგეობა კონიაკის ხარისხის გამო პასუხს არ აგებს თუ ის ნაყიდი არ იქნება მის ქარხანაში (ოლღას ქუჩა, № 30).

## ოფიციალური განყოფილება

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა *).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა.

19 ივნისი 1918 წ.

№ 16.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ა: ამა წლის 20 ივნისიდან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ადიუტანტი უშვერიძე, რომელიც ამავე რიცხვიდან მიწვეულია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საქმეთა სამმართველოს [illegible] ლოს მიერ დაწესებულ ჯამაგირით.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი.

მთავრობის საქმეთა მმართველი ს. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე.

24 ივნისი, 1918 წ:

№ 17.

ი ნ ი შ ნ ე ბ ი ა ნ მ ი ნ ი ს ტ რ ი ს ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ა დ: სამხედრო მინისტრის—გენ. ი. ზ. ოდიშელიძე, შინაგან საქმეთა—გ. ფ. მახარაძე, გარეშე საქმეთა—კ. ე. გვარჯალაძე და ზ. დ. ავალიშვილი, იუსტიციის—გ. ი. გველესიანი, ფინანსთა (ფინანსთა განყოფილებაში)—კ. პ. კანდელაკი, (ვაჭრობა-მრეწველობის განყოფილებაში)—გ. ნ. ნიკოლაძე, შრომის და მიწათმოქმედების (მიწათ-მოქმედების განყოფილებაში)—პ. პ. გელეიშვილი, (შრომის განყოფილებაში)—გ. პ. ერაძე, გზათა და სურსათის საქმეთა (გზათა განყოფილებაში)—ი. მ. მალანია, (სასურსათო განყოფილებაში)—პ. ი. საბაშვილი.

26 ივნისი, 1918 წ.

№ 18.

1. თ ა ვ ი ს უ ფ ლ დ ე ბ ა თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი დ ა ნ სამხედრო მინისტრის თანაშემწე და რესპუბლიკის ჯარების უფროსი გენერალ-მაიორი კვინიტაძე და ინიშნება საქართველოს სამხედრო საბჭოს წევრად.

2. ე ვ ა ლ ე ბ ა სამხედრო მინისტრის ამხანაგის თანამდებობის და საქართველოს რესპუბლიკის ჯარების უფროსის თანამდებობის დროებით ასრულება გენერალურ შტაბის უფროსს გენერალ-მაიორს ანდრონიკაშვილს.

29 ივნისი 1918 წ.

№ 19.

ი ნ ი შ ნ ე ბ ა კავკასიის რაიონის ქარხანათა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე დიმიტრი გიორგის ძე აფხაზი ფინანსთა სამინისტროს სალიკვიდაციო განყოფილების უფროს მმართველად, მინისტრის ამხანაგის უფლებებით ამა წლის 29 ივნისიდან.

29 ივნისი 1918 წ.

№ 20.

ი ნ ი შ ნ ე ბ ა: ივანე ნესტორის ძე ლორთქიფანიძე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გზათა მინისტრათ ამა წლნს 24 ივნისიდან.

მინისტრ თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

მთავრობის საქმეთა გამგე ს. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე.

*) დროგამოშვებით ოფიციალურ განყოფილებაში იქნება მოთავსებული მთავრობის ძველი ბრძანებები და განსაკუთრებით რომლებიც გაზ. „კავკაზში“ არ დაბეჭდილა.

## სავალდებულო დადგენილება

სამგზავრო და საბარგო ავტომობილების და მოტოციკლეტების მოსაწესრიგებლად და რეგისტრაციის მოსახდენათ.

რადგან ყველა საქმეები და უწყებები, რომლებიც შეეხებოდა საავტომობილო ნაწილს, გადავიდა გზათა სამინისტროს განკარგულებაში, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს [illegible] ლიების, სამხედრო უწყების, საზოგადოებების, კავშირების, ეროვნულ და სხვა ორგანიზაციების და აგრეთვე ყველა კერძო ავტომობილების და მოტოციკლეტების.

ყველა უწყების ავტომობილებს, რეგისტრაციის შემდეგ ექნებათ საჭირო მოწმობები, შესაფერისი ნიშნები და წარწერები, რომლებიც გარკვეულათ უნდა ჩდენს როგორც დღით ისე ღამით.

რეგისტრაციის ადგილი დანიშნულია უმთავრეს საავტომობილო სახელოსნოებში (პავლოვის ქუჩა № 10).

აღნიშნული რეგისტრაცია მოხდება შემდეგის რიგით.

ყველა ავტომობილების და მოტოციკლეტების რეგისტრაცია, რომლებიც ემსახურებიან მთავრობის, სამხედრო და საზოგადოებათა დაწესებულებათ და აგრეთვე ეროვნულ ან სხვა ორგანიზაციებს, დაიწყება 29 ივლისს დილის 9 საათიდან და გაგრძელდება 10 აგვისტომდის. აგვისტოს ათს დღისით 9 საათიდან დაიწყება რეგისტრაცია ყველა კერძო და ბირჟის ავტომობილების და გაგრძელდება 20 აგვისტომდის.

ყველა ავტომობილები და მოტოციკლეტები, რომლებიც მსვლელობაშია, წარმოდგენილი უნდა იქნეს დანიშნულ დროს აღნიშნულ ადგილზე.

რაც შეეხება იმ ავტომობილებს და მოტოციკლეტებს, რომლებიც მსვლელობაში არ არიან ან და რემონტში იმყოფებიან, იმათ შესახებ მათი პატრონები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ცნობები ავტომობილის ფირმის, რაოდენობის, ვინაობა პატრონის და ადგილის, სადაც ავტომობილი იმყოფება. ასეთი მაშინების რეგისტრაცია მოხდება ადგილობრივ. ის ავტომობილები და მოტოციკლეტები, რომლებიც არ გამოცხადდებიან სარეგისტრაციოთ, მთავრობის განკარგულებით დაჭერილი ექნებიან და მათი პატრონნი კი პასუხისგებაში მიცემულნი.

გზათა მინისტრის ამხანაგი მ ა ლ ა ნ ი ა.

## არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 10 აგვისტო.

პარლამენტი იმუშავებს და სცემს კანონებს, მთავრობა, რომელიც მხოლოდ პარლამენტის დავალებას ასრულებს, კანონის გამტარებელი, აღმასრულებელი ძალაა. თავისთავად ცხადია, რომ მთავრობას შეუძლია ცუდათ გაიგოს კანონი, სავსებით არ გაატაროს ცხოვრებაში პარლამენტის დადგენილებანი, ერთი სიტყვით, გადაუხვ-გადმოუხვიოს პარლამენტის მიერ ნაკარნახებ გზას.

პარლამენტს, ცხადია, უფლება უნდა ჰქონდეს მთავრობას განმარტებანი მოსთხოვოს, მიუთითოს აღმასრულებელ ძალას შემცდარ და მავნებელ ნაბიჯებზე. ამიტომ ყველგან პარლამენტი შეკითხვის უფლებით სარგებლობს. შეკითხვის უფლება ძირითადი უფლებაა პარლამენტისა.

სადაც პარლამენტარული წყობილებაა და უფლებათა დანაწილება უმაღლეს დაწესებულებათა შორის გატარებულია, ხშირათ პარლამენტის ესა თუ ის ფრაქცია უხვათ სარგებლობს ამ უფლებით, თავს ესხმის სამინისტროს, ყოველი საშუალებით სცდილობს დასცეს მთავრობის პრესტიჟი და ამ რიგად სამინისტროს კრიზისი გამოიწვიოს, რომ მოხერხებულათ მთავრობაში თვითონ მოექცეს. კარგია თუ ცუდი ასეთი წესი ეს სხვა საკითხია, მხოლოთ უნდა ვთქვათ სადაც პარლამენტალური წყობილება ფესვებ გამდგარია, პარლამენტში მოქმედი ფრაქციების ასეთი პოლიტიკური კომპანია და მთავრობის ხშირი კრიზისები ვერ არყევს იმ წყობილებას, რომელიც იქ განმტკიცებულა და გამაგრებულა.

მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა ჩვენში. ორი თვეა, რაც საქართველო დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა, და ჩვენ სახელმწიფოებრივობას [illegible] გამაგრება, მტკიცე, დაუღალავი შრომით სახელმწიფოს შენობის აგება-აი ყველა ჩვენი მოქალაქის უპირველესი მოვალეობა. ყველა მოქალაქე და პოლიტიკური ჯგუფი მთელი თავისი ენერგიით საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას უნდა ეძლეოდეს. ჩვენ კიდევ მტრები ბლომად გვყავს. ყველა ჩვენის უტაქტო ნაბიჯით და უხერხული სიტყვებით მტერი სარგებლობს, ხელზე იხვევს, რომ ჩვენ მთავრობას უფრო მკაცრათ შეებრძოლოს, სახელი გაუტეხოს და ასეთი გზით ჩვენ სახელმწიფოსაც ძირი გამოუთხაროს. ჩვენი მთავრობა და საქართველოს სახელმწიფოებრივობა დღეს შედუღებული არის. დღეს მთავრობის სახელის გატეხა და დაცემა საქართველოს დამოუკიდებლობის სახელის გატეხას და გაბიაბრუებას უდრის. ვინც მომხრეა უკანასკნელის, ის უნდა იცავდეს პირველს, ვინც იცავს პირველს, ის ამაგრებს საქართველოს სახელმწიფოსაც.

აქედან თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ არ უნდა გავყვეთ საფრანგეთის საპარლამენტო ტრადიციებს და ჩვენს ფრაქციულ ეგოიზმს გზა არ უნდა გაუხსნათ. ჩვენი საპარლამენტო მოღვაწეობა, პოლიტიკური გამოსვლები ერთ საქმეს უნდა აკეთებდეს, ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს: საქართველოს რესპუბლიკის განმტკიცება, ჩვენი ხალხის კულტურულ-პოლიტიკურ ღირებულებათა დაცვა.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ საპარლამენტო ფრაქციები შეკითხვის უფლებით არ ისარგებლებენ, მთავრობას განმარტებას არ მოსთხოვენ, შემცდარ ნაბიჯებზე არ მიუთითებენ. მაგრამ შეკითხვები უნდა ავაგოთ საქმიანობის ნიადაგზე, ფაქტები და საზოგადოთ მასალა, რომელზედაც ვეყრდნობით, სწორი და უტყუარი უნდა იყოს, ყოველთვის სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ეხლა, როდესაც ჩვენ ქვეყანაში ჰაერი დამძიმებულია, აშკარად თუ ჩუმად მტრები გვებრძვიან, ჩვენ შეკითხვებს პოლიტიკური კომპანიის ხასიათი უნდა ავაცილოთ. ყველა მოქალაქის და ჯგუფის ვალია მთავრობის პრესტიჟის აწევა და არა დაცემა.

## პრესის მიმოხილვა.

„ერთობა“ სწერს:

ჩვენი სურვილია სომხეთის რესპუბლიკა გამაგრდეს. ჩვენი მისწრაფებაა სომხეთის დემოკრატიაც გამოფხიზლებული შეიქმნეს და საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლის ნიადაგზე დადგეს.

ჩვენ გვინდა—განსაკუთრებით მეგობრული, ამხანაგური კავშირი სომხის, თათრის და სხვა ერების დემოკრატიასთან ამიერ-კავკასიაში. დემოკრატიის სოლიდარობის გარეშე ჩვენ ვერ ვხედავთ ხსნას.

ამის შეგნება ყველაზე მეტად ევალება სომხის დემოკრატიას, ვინაიდან, ჩვენ და თვით სომხის დემოკრატიის საუბედუროდ, სომხის ერის ხელმძღვანელობა წილად ხვდა დაშნაკციუტუნს. ეს პარტია კი დღესაც შურსა და ღვარძლსა სთესს სომხის, თათრის და სხვა და სხვა ერების დემოკრატიაში, თუმცა მხოლოდ ბრმებს არ ძალუძთ შენიშნონ, რომ

შოვინისტურ ქადაგებას მოჰყვა ჩვენში შოვინისტური საქმეც. დღემდე ერთმანეთს უსევდნენ სომხის და თათრის გლეხებს. დარბევა-აწიოკებას ჰქონდა ადგილი და დღესაც აქვს ყველგან, სადაც ეს ორი ერი ერთმანეთს ეკვრის. მხოლოდ ქართველები იდგნენ ამის გარეშე რამოდენიმედ მაინც.

ამ ბოლო დროს დაშნაკციუტუნმა მრავლად შეკრიბა თავის მიერ ნათესი ღვარძლი, მას განგებამ სამართლიანად „მიუგო ბოროტი ბოროტისა წილ“ მაგრამ, როგორც სჩანს, „დაშნაკციუტუნი“ ჯერაც არ ადგება კეთილ გზას.

ამ დღეებში, მაგალითად, აღმოაჩინეს აქ მთელი საწყობი ყუმბარების, ზარბაზნების, ასაფეთქებელი მასალებისა მანთაშევის ქარვასლაში. ქარვასლა ხომ არსენალი არაა. იქ ასეთ საქონელს, საშიშს, საპროვაკაციოს ინახავდნენ თურმე სომხის ნაციონალისტები—დაშნაკელები.

ეს დიდი დანაშაულია, ვინაიდან მეორე სახელმწიფოს „ხელმძღვანელ პარტიას“ არა აქვს უფლება ფარული საწყობები იქონიოს ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ ეს დიდი დანაშაულია უფრო თვით სომხის შეგნებულ დემოკრატიის წინაშე რადგან,

„სად გაგონილა ასეთ შეთქმულ საზოგადოებად გადაქცეულიყოს მთავრობა, რომელსაც მთელი ერის ბედი აბარია?“.

დიახ, არსად გაგონილა, და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ სომხის ერს კიდევ შერჩენია ჯანსაღი ელემენტები, თუ სომხის დემოკრატია მთლად არ მოწამლულა დაშნაკცუტიუნის მავნე ქადაგებით,—იგი თვით გასცემს ღირსეულ პასუხს თავის ხელმძღვანელებს. მაგრამ ვაი თუ იმედები არ გაგვიმართლდეს?

# ეროვნული საბჭო

**მკათათვის 30-ს სხდომა მე-25-თე.**

თავმჯდომარეობს ექვთიმე სვ. თაყაიშვილი.

კრება იხსნება დღის 12 საათზე და 25 წუთ.

თავმჯდომარე. დაბრძანდით ბატონებო. ეროვნულ საბჭოს კრება გახსნილი გახლავთ. ვთხოვ მდივანს წაიკითხოს კრების დღის წესრიგი.

ი. აბაკელია (მდივანი, კითხულობს). სია კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტებისა.

პირველი: ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი [illegible] ლიკვიდაციო განყოფილების დაარსების შესახებ.

გადაეცეს საფინანსო კომისიას.

მეორე: სამხედრო მინისტრის დებულება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა.

გადაეცეს სამხედრო კომისიას.

მესამე: სამხედრო მინისტრის ძირითადი დებულება—სამხედრო ბეგრისა და მუდმივ ლაშქრის შევსების შესახებ.

გადაეცეს სამხედრო კომისიას.

მეოთხე: სამხედრო მინისტრის კანონ-პროექტი მუდმივ ლაშქრის ორგანიზაციისა.

გადაეცეს სამხედრო კომისიას.

მეხუთე: შინაგან საქმეთა მინისტრის კანონ-პროექტი ქ. ჭიათურიდან გატანილ შავ ქვაზე საფუთო გადასახადის ერთი კაპეიკის გადადების შესახებ ქალაქის სასარგებლოდ.

გადაეცეს ადგილობრივ მმართველობას და თვითმმარ. და საფინანსო კომისიას.

პირველი: საბოლოო რედაქცია—ამიერ-კავკასიის გამმიჯვნელ დაწესებულებათა მიწადმოქმედების სამინისტროს უწყებაში გადაცემის კანონისა.

მომხსენებელია რაჟდენ არსენიძე.

მეორე: საბოლოო რედაქცია—ათ-მილიონიან ფონდიდან გაწეულ 7.442.552 მან. 44 კაპ. ხარჯისა და ამ ფონდის აღდგენის კანონისა.

მომხსენებელია არსენიძე.

მესამე: საბოლოო რედაქცია—შინაგან სამინისტროსთან განსაკუთრებულ რაზმის დაარსების კანონისა — კონტრ-რევოლიუციასთან, სპეკულიაციასთან და მძარცველობასთან საბრძოლველად.

მომხსენებელია არსენიძე.

მეოთხე: საბოლოო რედაქცია—კანონისა საშტატო ჯამაგირების გადიდებისა მილიციაში მოსამსახურეთათვის.

მომხსენებელია არსენიძე.

მეხუთე: საბოლოო რედაქცია—საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატების კანონისა.

მომხსენებელია არსენიძე.

მეექვსე: საბოლოო რედაქცია — სასოფლო მილიციის და ადმინისტრაციის დაარსების კანონისა.

მომხსენებელია არსენიძე.

მეშვიდე. განხილვა კანონპროექტისა—არსებულ მფრინავ რაზმების შტატების გადიდების შესახებ:

მომხსენებელია ალექს. ლომთათიძე.

მერვე: განხილვა კანონ-პროექტისა — საქარხნო ინსპექციის გაუქმების შესახებ.

(მომხსენებელი არ არის დასახელებული).

მეცხრე: მთავრობის წინადადება დეკრეტის გამოცემის შესახებ, რომლითაც მთავრობას ზოგიერთ ხასიათის დაწესებულებათა ლიკვიდაციის მოხდენის უფლება მიეცემა.

მომხსენებელია რაჟდენ არსენიძე.

მეათე: მსჯელობის გაგრძელება გრ. ვეშაპელის შეკითხვის შესახებ საჩხერის ამბების გამო.

[illegible] მელი წაკითხული დღის წეს-რიგის კითხვებზე? (დარბაზში სიჩუმეა) მაშასადამე დღის წესრიგი დამტკიცებულია. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს არსენიძეს.

რ. არსენიძე. კითხულობს 10 მილიონიან ფონდიდან გაწეულ 7 მილიონიან 482.552 მ. 44 კ. ხარჯის და ამ ფონდის აღდგენის კანონის საბოლოო რედაქციას.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი სარედაქციო კომისიის მიერ შემუშავებულ საბოლოო რედაქციისა? ჰსურსთ თუ არა ვინმეს შეიტანოს შესწორება? (დარბაზში სიჩუმეა) მაშ საბოლოო რედაქცია, წარმოდგენილი კომისიის მიერ მიღებულია.

რ. არსენიძე. (კითხულობს ამიერ-კავკასიის გამმიჯვნელ დაწესებულებათა მიწათმოქმედების სამინისტროს უწყებაში გადაცემის კანონის საბოლოო რედაქცის).

თავმჯდომარე. ვის ჰსურს შეიტანოს კომისიის მიერ შემოტანილ საბოლოო რედაქციაში შესწორება? არავის. მაშასადამე საბოლოო რედაქცია მიღებულია.

თავმჯდომარე. განსახილველია კანონ-პროექტი არსებულ მფრინავ რაზმების შტატების გადიდების შესახებ. მომხსენებელია ალექსანდრე ლომთათიძე.

ალ. ლომთათიძე. მოქალაქენო! ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ შემუშავებული კანონი მფრინავი რაზმების შესახებ დღეს ეს არის ძალაში. ამ მფრინავი რაზმების შემადგენლობა თბილისსა და ქუთაისში განისაზღვრება 602 კაცითა, ხოლო სოხუმის ოლქში 302 კაცით. ეს კანონი, როგორც ზევით აღვნიშნეთ 26 მაისიდან, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ ძალაში დარჩა. მთავრობას აუცილებელ საჭიროდ დაუნახავს მფრინავი რაზმის შტატების გადიდება, ვიდრე არ გვეყოლება რეგულიარული ჯარი, რომელზედაც შეუძლია დაყრდნობა ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას. ეს მფრინავი რაზმი წარმოდგენილი კანონ-პროექტის მიხედვით გადიდებულ უნდა იქმნას და ამით გაძლიერდეს დროებით ის ძალა, რომლის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა, შინაურ ანარქიასთან ბრძოლა და ნიადაგის მომზადება მუდმივი ჯარის შესაქმნელად. ეს კანონ-პროექტი შეიცავს სულ 7 მუხლს (კითხულობს კანონ-პროექტს)

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამ კანონპროექტის შესახებ? (სიტყვას თხოულობს ადგილიდან რ. გაბაშვილი). სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს რ. გაბაშვილს.

რ. გაბაშვილი. (ერ. დემ.) დღევანდელი ჩვენი მთავრობა ანდა მისი პარტია კიდევ ადგია ისეთ წესს, რომელიც არსად არ არსებობს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ისტორიაში. მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში არ არის ის წერტილი, საიდგანაც შეიძლებოდეს ნამდვილი სახელმწიფოებრივი სისტემის დაწყება. როგორც ერთი ნიმუში ჩვენმა მთავრობამ კონტრევოლიუციასთან და სპეკულიაციასთან საბრძოლველად დაარსა წითელი რაზმი იმ დროს როცა არსებობს წითელი გვარდია, იმ დროს როდესაც არსებობს მუდმივი ჯარი, იმ დროს როცა არსებობს სახალხო მილიცია. ორი დღე არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენ დავაკანონეთ სასოფლო და საქალაქო მილიცია, ამნაირად ჯერ კიდევ არ გაცივებულა ერთი საგანგებო რაზმი, როცა ვქმნით მეორე საგანგებო რაზმს იმავე ფუნქციებით და იმავე მიზნით.

მე მესმის, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით არსდება საგანგებო რაზმი, ამას კიდევ რაიმე პოლიტიკური მიზანი მაინც აქვს, მაგრამ ამდენ საგანგებო რაზმების დაარსებას მე არ მესმის რა მნიშვნელობა აქვს.

ბატონებო, რომ საგანგებო რაზმებს შეეძლოთ რაიმე საგანგებო ან და თვალსაჩინო მოქმედება კიდევ მესმის, მაგრამ საგანგებო რაზმები აკეთებენ იმავ საქმეს, რაც ჩვეულებრივ რაზმის დროსაც შესაძლებელია რომ გაკეთდეს.

საგანგებო რაზმი არაფერს არ აკეთებს იმის გარდა, იმ ფუნქციების გარდა, რომელთაც სამაგალითოდ ასრულებს ჯარი.

მათი საგანგებო რაზმის სახელით არსებობა მარტო იმაში გამოიხატება, რომ ხარჯვენ აუარებელ ფულს, და, გარდა ამისა, რომ ხარჯვენ აუარებელ ფულს,—ახწევენ არა იმ მიზანს, რომელსაც ისახავს მათი შემქმნელი მთავრობა, არამედ მის საწინააღმდეგოს.

მე მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ კორესპონდენციას, რომელიც მოთავსებულია დღემდის რევოლიუციის შემქმნელ გაზეთად, და დღეის შემდეგ კი კონტრევოლიუციონურად ჩაითვლება.

შეუძლებელია ბატონებო, რომ იმ გაზეთმა რომელიც იცავს ერთ საგანგებო რაზმს, შემდეგ დაიცავს მეორე საგანგებო რაზმი, აი წერილიც (კითხულობს წერილს).

„ყველამ კარგად უწყის, რომ თბილისში არსებობს ეგრედ წოდებული „თფილისის განსა-[illegible] რაზმი“, გუბერნიის კომისარიატთან. აღნიშნულ რაზმის დანიშნულება არის საქართველოში ანარქიული მოძრაობის ჩაქრობა და რევოლიუციონური წესრიგის დაცვა საერთოდ. რაზმის უფროსად დანიშნულია პოლკოვნიკი ხარაძე. რაზმის საარსებოდ მთავრობამ გადასდო განსაკუთრებული თანხა, მილიონ ნახევარი მანეთი, ჰქონდათ დიდძალი სურსათი, ტანსაცმელი და სხვა. რაზმი უზრუნველყოფილი იყო ყოველი მხრით. მას შეეძლო არსებობა აღნიშნულ ქონებით თუ მეტი არა ერი წელი მაინც. დღეს თუ ნახავთ რაზმის მატერიალურ მდგომარეობას გაკვირვებული დარჩებით. ცეხგაუზებში აღარაფერია. სადღაც გაქრა სახალხო ქონება. რაზმიც არ იყო სასურველ პირებისაგან შემდგარი, შიგ მოექცა ყოველი ჯურის ხალხი. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს: ერთს ასეულს „ვახმისტრათ“ დანიშნული ჰყავდა გ. ნ-ძე, ყოფილი პოლიციელი ქუთაისში და მარჯვენა ხელი პოლიცმეისტრის მახარაძისა. ამ ვაჟბატონს ჰყავდა ერთი კომპანია, 8 კაცისაგან შემდგარი, დადიოდნენ ქალაქში, ახდენდნენ ჩხრეკას ნომრებში, კერძო ბინებზე, ცარცვავდნენ ხალხს და ნადავლი იარალი მოჰქონდათ რაზმში; რაც საუკეთესო იარალი იყო თვითონ, მიიროვეს, რევოლვერები, კარაბინები და ცუდ თოფებს ცეხგაუზში აბარებდნენ. როდესაც შეგნებულმა ამხანაგებმა მათ მოქმედებაში ეჭვი შეიტანეს და მათ მძარცველები უწოდეს, ნიჟარაძემ შემდეგი გვიპასუხა: „მე უფროსებმა მიბრძანეს და ვისაც მინდა იმას წავიყვანო“, მას ეგონა თითქოს ჩვენ იმას ვსთხოვდით ჩვენც წავეყვანეთ „ობისკებზე“. მაგრამ ნათქვამია: „კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო“ და მართლაც რამოდენიმე პირი ბოროტმოქმედებაში შენიშნეს და დღეს ციხეში სხედან“.

შემდეგ როგორც კორესპონდენციის ავტორი გადმოგვცემს, რაზმელებს მოუთხოვიათ საგანგებო რევიზიის დანიშვნა, მაგრამ რაზმელი განაგრძობს რომ ეს ერთი კვირა გადის და არავითარი კომისია არ ინიშნება. ჩვენ არ ვიცით, თუ როდემდის გაგრძელდება ამნაირი მოქმედება, და ის ცოტა რამ, რომელიც რაზმს გააჩნდა სულ გაიფლანგება კომისიის მოსვლამდის.

ამხანაგობის მონდობილობით

ერთი რაზმელთაგანი.

ეს წერილი სწორედ საგანგებოდ შედგენილ რაზმზეა დაწერილი, იმ საგანგებო რაზმზე, რომელსაც უნდა დაეცვა ქვეყანა ყოველგვარ ანარქიისაგან და აი თქვენც ხედავთ, თუ რა შედეგს მიაღწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საამდროო წერილები.

დღეს, მცირე გამონაკლისის გარდა, მთელი კაცობრიობა ორ ბანაკად, ორ კოალიციად არის გაყოფილი; ერთს უდგია სათავეში გერმანია, მეორეს კი ინგლისი. მეხუთე წელიწადი დაიწყო უკვე მას შემდეგ, რაც ამ ბუმბერაზ სახელმწიფოთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი სწარმოებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ უჩანს ბოლო ამ საარაკო ბრძოლას. ამ უმაგალითო მსოფლიო ომში, თუ კი არ მივიღებთ მხედველობაში პატარა სახელმწიფოებს, რუსეთმა პირველმა დაჰყარა ბრძოლის ველზე იარაღი, რის მიზეზს ბევრნი „ბალშევიკურ“ მოძრაობაში ხედვენ. მართალია, არც „ბალშევიკებს დაუკლიათ ხელი რუსეთისათვის მის დაშლის და დაღუპვის საქმეში, მაგრამ სხვა მიზეზებიც არის.

„ბალშევიზმი“ თვით არის შედეგი ყოფილი რუსეთის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებისა. რუსეთი თავის გეოგრაფიულ და მრავალ გვარ ისტორიულ მოვლენათა გამო, საზოგადოთ ძრიელ ჩამორჩა დასავლეთ ევროპას. მეცხრამეტე საუკუნეშიაც ეს ევროპაზე ჩამორჩენა იმ ზომამდე დიდი იყო, რომ ცნობილმა ისტორიკოსმა ბოკლმა ის აზიურ სახელმწიფოთა რიგში მოათავსა. დასავლეთ ევროპაში კი ამ დროს დიდი ცვლილება ხდებოდა.

საფრანგეთის 1789 წლის დიდი რევოლიუციის და ნაპოლეონ I, იმ ომების შემდეგ, ევროპაში ჩნდებიან, იზრდებიან და თანდათან მტკიცდებიან ახალი ტიპის ნაციონალურად სახელმწიფოები. მათ უმთავრესად ახასიათებს სამოქალაქო უფლებათა აღიარება, პარლამენტარიზმი და საზოგადოთ დემოკრატიული პრინციპების ცხოვრებაში გატარების აუცილებლობა. ის სახელმწიფო, რომელსაც ეს პრინციპები უფრო სავსებით ცხოვრებაში გადაჰქონდნა, უფრო ძრიელ და კეთილმოწყობილ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

რუსეთი კი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ტიპიური პატრიარქალური სახელმწიფო იყო, იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ის უფრო გარეგნულად ჰბაძავს დასავლეთ ევროპას, არსებითად კი ის ისევე ძველ რუსეთად რჩება. ამიტომ ვინც კარგათ ჩაუკვირდება რუსეთის წარსულს, მისთვის არ უნდა იყოს მოულოდნელი ყველა ის, რაც მას დაემართა ამ ომის დროს. რუსეთს, ამ უდიდეს ბუმბერაზს, მართლაც, თიხის ფეხები აღმოაჩნდა, რომლებმაც ვერ გაუძლეს მსოფლიო ომის სიმძიმეს და დაიმსხვრენ.

საზოგადოთ რუსეთის ისტორიის შესწავლის დროს სახელდობრ, რუსეთის ტერრიტორიის გადიდების, გაფართოების შესწავლის დროს, ჩვენ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ რუსეთი ახალ ტერიტორიებს იძენს იმ მხრით, საიდანაც ის ან სულ არავითარ, ან მცირე წინააღმდეგობის გაწევას ელის, როგორც მაგალითად, ციმბირში, შუათანაზიაში, ყირიმში, ასტრახანში, ყაზანში, კავკასიის პატარა სამეფოებთან და სახანოებთან ბრძოლაში, ან კიდევ სპარსეთში და ოსმალეთში, ამ ტიპიურ აზიურ სახელმწიფოებში, რომელნიც კაი ხანი იყო, რაც დაუძლურების, გზას დასდგომოდენ.

პეტრე დიდის შემდეგ რუსეთს არ მოუგია ომი ევროპიულად მოწყობილ დიდ სახელმწიფოსთან. თუ კი იყო შემთხვევა, რომ რუსეთმა ევროპის სახელმწიფოსთან ბრძოლაში გაიმარჯვა, ეს მოხდა მაშინ, როცა რუსეთი მარტო კი არ აწარმოებდა ომს, არამედ ის იყო კოალიციაში, და ამიტომ ჯერ კიდევ არ არის ისტორიაში დადგენილი ერთი გადაწყვეტილი აზრი, რომელმა სახელმწიფომ რა როლი ითამაშა ამა თუ იმ კოალიციაში.

ასე თუ ისე რუსეთის იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ ამ ომში მათ მოკავშირეთ. ამერიკის დახმარება, როგორც წინეთ, ისე დღესაც უმთავრესად გამოიხატება სურსათის გამოგზავნაში და საომარი მასალის მოწოდებაში. ჯარით ამერიკის დახმარება არ შეიძლება იქნეს ღირს შესანიშნავი, რადგანაც ჯარი ევროპიული ამ სიტყვის მნიშვნელობით მას არ ჰყავდა, შექმნა ახალი ჯარისა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უმეტესობას არშინი ხმალზე უფრო ემარჯვება, ადვილი საქმე არ არის; ყოველ შემთხვევაში ეს უფრო შორეულ იდეალს უნდა შეადგენდეს მათთვის. მართალია ამერიკის შეერთებულ შტატებში სცხოვრობენ რამოდენიმე მილიონი გერმანელნი, რომელნიც გაწვრთნით თავიანთ ევროპიულ მოძმეთ არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც მათ მუდამ ჰქონდათ იქ სხვა და სხვა „ფერეინები“, სადაც სამხედრო საქმეს ზედ მიწევნით სწავლობდენ, მაგრამ ეს გერმანული ელემენტი არ არის საიმედო არც ინგლისის და არც თვით შეერთებული შტატებისათვის.

---

იაპონია, რომელიც, მართლა ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენს, თავის მიზანს ე. ი. შორეულ აღმოსავლეთში თავის ჰეგემონიას გერმანიასთან შეუტაკებლათ ანხორციელებს ამ ჟამად და ამიტომაც, ვფიქრობთ, იაპონია არ გადმოიყვანს თავის ჯარს ევროპაში გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

---

იტალია, როგორც წინეთ, ისე დღესაც მხოლოდ ერთ მიზანს ანხორციელებს: ის ხელს უშლის ცენტრალურ სახელმწიფოებს მთელი თავისი სამხედრო ძალა სხვა ფრონტებზე, ამ ჟამად დასავლეთ ფრონტზე, გადაიყვანონ. სერიოზული აქტიური შეტევა, რომლის საშუალებით მან ავსტრო-უნგრეთის ტერრიტორიის ხელში ჩაგდება მოახერხოს, იტალიას არ შეუძლია.

---

საფრანგეთის თავგანწირული ბრძოლა, ინგლისის თუ კიდევ სხვა სახელმწიფოთა დახმარება საფრანგეთის ფრონტზე, ჯერ-ჯერობით მხოლოდ გერმანიის შეტევის წინსვლას აფერხებს, მხოლოდ იმ თერთმეტ დეპარტამენტთაგან, რომელნიც გერმანიას საფრანგეთში უკავია, თუ გინდათ ერთი დეპარტამენტის უკან დაბრუნება ჯერ მათ ვერ შესძლეს.

---

რჩება ამნაირად ერთი სერიოზული მტერი ინგლისი, ეს „ზღვის გველი, რომლის თავის გაჩეჩქვას,“ ევროპაში პოლიტიკური სიმშვიდის დასამყარებლად, საჭიროდ რაცხდა ჰენრიხ ჰეინე ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს სახელმწიფო ძლიერია ფულით, ენერგიით, სამხედრო სფეროში მომხდარი ტრადიციებით, მაგრამ მოკლეთ გავითვალისწინოთ როგორ პირობებში უხდება ბრძოლა ინგლისს?

დ.

---

# დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

9 აგვისტო.

ვენა, 7 აგვისტო. პარიზიდან მიღებული ცნობებით, საფრანგეთის სოციალისტები თხოულობენ სამთა კავშირისგან ომის მიზნების გამოქვეყნებას, რადგანაც ცენტრალურ სახელმწიფოთა შორის გავრცელებულია აზრი, რომ გერმანიის მოწინააღმდეგე კოალიცია ეომება მას საბოლოოდ მისი განადგურების მიზნით.

როტერდამი, 7 აგვისტო. ინგლისის საადმირალო იტყობინება, რომ ინგლისის ორმა წყალქვეშა ნავმა 3- აგვისტოს ჩასძირა მტრის წყალქვეშა ნავები. დაიღუპა 97 კაცი.

ბერლინი, 7 აგვისტოს. სავოსპიტალო სატრანსპორტო გემი „ვარილდან“ ჩაიძირა. აკლია 123 კაცი. ალბად ისინი დაიხრჩვნენ. ვარილდა საგემო კომპანიის „ადელაიდას“ საკუთრება იყო. გადარჩენილი 650 კაცი ნაპირს მოადგა.

მოსკოვი, ტაშკენტიდან. ლენინს. 7 აგვისტო. ორენბურგის ფრონტით, ორსკის მხრით წინ წავიწიეთ. არის ცნობა, რომ საბჭოთა ნაწილები ორენბურგისკენ მიდიან აქტიუბინსკის მთავარ ხაზით.

ჩვენი მხრით წინსვლა სუსტია, რადგანაც საომარი მასალა ცოტაა. სემირეჩიაში გავიმარჯვეთ. ასხაბადის ფრონტმა საქმე გაგვიძნელა, მან ჩამოგვაშორა ჩვენ კრასნოვოდსკს და ბაქოს და რასაკვირველია ნავთსაც. მაგრამ ამ ფრონტზედაც უკანასკნელ დღეებში ჩვენი ჯარები წინ იწევენ. ვიმეორებ, ჩვენ რომ საკმაო საომარი მასალა გვქონდეს, ამბოხებას ჩავაქრობდით. ნავთის ჩამოტანა შეუძლებელია ასხაბადის ფრონტზე ომის გამო ფრიად მნიშვნელოვანი იქნებოდა კრასნოვოდსკით იერიშის მიტანა. ამის შესახებ თქვენ გადაეცით ბაქოს, რადგანაც ჩვენ მასთან მოლაპარაკება არ შეგვიძლია. რა ხდება კრასნოვოდსკში და ასხაბადის იქეთ არ ვიცით. ესეც ბაქოდან გაიგება. ბაქოელებს მოკლეთ შეატყობინეთ რუსეთის საერთო მდგომარეობა. სამარაში, როგორც თქვენ შეჰპირდით კოლესოვს (?) როგორია საერთო პრესპექტივები? (ხელმოწერილი არ არის).

ბერლინი, 8 აგვისტო. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ლისის ორივე მხრით ჩვენ მოვიგერეთ ინგლისელთა შეტევები. სომას ჩრდილოეთით მტერმა ძლიერ შემოუტია ჩვენს პოზიციებს. ღამის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლაა. მონდიდიერის სამხრეთით მტრის შეტევები უსარგებლოთ დამთავრდა. უმნიშვნელო ბრძოლაა ენთან, ვესლასთან და რეიმსის ჩრდილოეთით.

ჰერცოგ ალბრეხტის ლაშქარი. ვოგეზში ჩვენ გავიმარჯვეთ. ლეიტენანტ მოლიკმა ჰაერში ბრძოლის დროს გაიმარჯვა.

ალბანეთში ჩვენმა ჰაეროპლანებმა მტრის ჰაეროპლანებზე გაიმარჯვეს.

---

## უცხოეთი.

ცნობა სტოკჰოლმიდან.

ლვოვში „ლვოვსკაია გაზეთს“ სტოკჰოლმიდან აუწყებენ, რომ ინგლისელებს, ფრანგებს და ამერიკელებს, რომელთა ჯარებიც მურმანის სანაპიროებზეა გადმოსხმული, განზრახვა აქვთ პეტროგრადს შემოუტიონ. მიზნის პირველი ნაწილისათვის მიუხწევიათ: ქარელია დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს. ამერიკიდან სურსათით დატვირთული უამრავი ტრანსპორტები მოდიან. ზოგიერთი უკვე მოსული სურსათი მცხოვრებთა შორის გაანაწილეს. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ იქაურმა გლეხებმა და რუს მცხოვრებმა საბჭოთა მთავრობას უღალატეს და მოკავშირეებს მიემხრნენ.

---

კრეისერი „ვარიაგი“.

ინგლისიდან ოფიციალურად იუწყებიან: რუსეთის გაზეთების ცნობა გერმანულ წყალქვეშა ნავის მიერ კრეისერ „ვარიაგის“ დაღუპვის შესახებ, სიმართლეს მოკლებულია, რადგან ამ ხანად „ვარიაგი“ ინგლისის ერთ ნავსადგურში სდგას.

---

ავსტრო-უნგრეთი და უკრაინა.

პეტროგრადის ყოფილ მმართველ წრეებში ცნობილი ავსტრო-უნგრეთის საელჩოს სამხედრო ატტაშე პოლკოვნიკი, ეხლა უკვე გენერალი გრაფი სპაკონი, უკრაინაში ავსტრო-უნგრეთის ლაშქრის მთავარ სარდლათ დაინიშნა, რომელსაც ბინა კიევში ექნება.

---

ცნობა ვენიდან.

როგორც ვენის გაზეთები იუწყებიან, რუსეთში, დასავლეთ ციმბირში და ურალზე მომქმედი ჩეხო-სლოვაკების ლაშქარი, მარტო ჩეხო-სლოვაკებიდან არ არის შემდგარი. ამ ჯარში შედის აგრეთვე დიდი რიცხვით რუსეთის ჯარის ოფიცრები და ჯარის კაცები, რომელნიც არ დაემორჩილნენ ბალშევიკურ რეჟიმს. ეს ძალა ამ ჟამად 150.000 კაცისაგან შესდგება. ასეთსავე რაზმებს ადგენენ საფრანგეთში და იტალიაში, რომელთაც ხელმძღვანელობენ ექიმი ბენეში და ვინმე სტეპანოვიჩი.

---

# ახალი ამბები.

○ საექიმო სასანიტრო საქმის უფროსმა მ. ლ. ზანდუკელმა შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინა მოხსენება, სადაც სთხოვს მთავრობასთან შუამდგომლობას, ეპიდემიასთან საბრძოლველად და საავადმყოფოების გასახსნელათ ერთ მილიონ მანეთს.

○ საექიმო სასანიტრო საქმის უფროსის თანაშემწეთ განზრახულია მოიწვიონ პროფ. შირკაგოროვი, ექ. ივ. ელიაშვილი, სასოფლო საექიმო გამგეთ ექ. ნ. რუხაძე სანიტარულ რაზმებისთვის ექ. მეუნარგია. სამართველოს ექიმებათ. ექ. დ. ჯავახიშვილი და არჯევანიძე. საქმის მწარმოებლათ ექ. როსტამბეკოვი. საქმის მწარმოებლის თანაშემწეთ იოსელიანისა და ვ. საათაშვილი.

○ ქუთაისი, 7 აგვისტო. შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭომ დაადგინა მოიწვიოს 15 აგვისტოს შავი ქვის მრეწველთა საგანგებო კრება, რომელზედაც უნდა გაირჩეს საკითხი შავი ქვის მრეწველობისა და საბჭოს კონტორის ქუთაისიდან ჭიათურაში გადატანის შესახებ.

○ ხონის ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები მამისონის გადასავალზე რკინის გზის გაყვანისთვის.. წინასწარ ხარჯებისთვის ფული უნდა შეგროვდეს ქალაქის მცხოვრებთა შორის.

○ აბრეშუმის პარკის ფასი ფუთ. 200 მანეთამდე ავიდა, რადგან ასეთი მაღალი ფასის გამო მყიდველები ცოტაა ხონში და სენაკში, ფასები თან და თან დაეცა და 70 მან. დავიდა.

○ მომმარაგებელ კომიტეტის თავმჯდომარედ არდიშვილის მაგივრად დაინიშნა ჯაფარიძე, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე.

○ საგუბერნიო საადგილ მამულო გამგეობა უქმდება და მის ფუნქციებს შეასრულებს ცენტრალური საადგილმამულო გამგეობა.

○ საექიმო სასანიტარო საქმის უფროსმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ყველა საექიმო-სასანიტარო ქონება საქართველოს რესპუბლიკისა შეგროვილ იყოს ერთ ადგილზე და გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო განყოფილებას.

○ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება სთხოვს საექიმო-სასანიტრო საქმის უფროსს, რომ ვაკეში ლტოლვილთათვის გაიხსნას ეპიდემიური რაზმი.

○ რკინის გზის მთავარმა კომიტეტმა დაადგინა, წინადადება მისცეს ყველა რკინის გზის მოსამსახურეებს, რომელნიც ითვლებიან ახლად დაარსებულ რკინის გზის მოსამსახურეთა ქართულ კავშირის წევრებად, ერთი კვირის ვადაში გამოვიდნენ კავშირიდგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სამსახურიდან დათხოვნილი იქნებიან. დადგენილება გაგზავნილია მთელ გზაზე.

○ უკანასკნელ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 4 ხოლერიანი და 6 ხოლერის ნიშნებით. სახოლერო განყოფილებაში გადაიყვანეს 8, მორჩა 8 ხოლერიანი და 8 ხოლერის ნიშნებით. გარდაიცვალა 7 ხოლერიანი და 2 ხოლერის ნიშნებით. 8 აგვისტოსთვის იყო 124 ხოლერიანი და 26 ხოლერის ნიშნებით.

○ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ცნობით დუშეთის მაზრაში სულ წაართვეს 2000 ვინტოვკა, 4 ზარბაზანი 15 ტყვიის მფრქვეველი და 6 ყუმბარების მტყორცნელი. რაზმიდან და დაიღუპება 7, დაიჭრა 20.

○ ფოთიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ საერობო არჩევნებზე არჩეულ იქმნენ ორი სოციალ-დემოკრატი და ორი ნაც. დემოკრატი.

○ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა 200 ათას მანეთის გადადების შესახებ სამკურნალო სასანიტარო განყოფილების განკარგულებაში ეპიდემიურ რაზმის შესანახად.

○ დუშეთის მაზრის სოფლებში დაარსდა შტაბები სახალხო გვარდიისა, სადაც იბარებენ იარაღს და ახალ რაზმებს ადგენენ.

○ სახალხო გვარდიას მთელ ოპერაციის განმავლობაში დუშეთის მაზრაში დაუჭერია 2 ათასი ვინტოვკა, 4 ზარბაზანი, 15 ტყვიის მფრქვეველი, 6 ყუმბარა და დიდი ძალი ტყვიაწამალი. ზარალი მოსვლია: მოუკლავთ 7 კაცი, დაჭრილია 20.

○ ხელოვნებათა სექციამ პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენების თანახმად დაადგინა სახელმწიფოს გერბად იქნეს თეთრი გიორგი შვიდი მნათობით, რადგან ეს გამოხატულება ისტორიულად და ტრადიციულად დაკავშირებულია ქართველ ხალხის არსებობასთან. კომისია სთხოვს მთავრობას გამოაცხადოს კონკურსი.

○ არზრუმის სამხედრო რკინის გზის ინჟ. განის მიერ აღძრული შუამდგომლობა რეკვიზიციის ძალით მისგან ჩამორთმეული ნივთების დაბრუნების შესახებ დაკმაყოფილებულ იქმნა.

○ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე კავკასიის არქეოლოგიურ კომისიის გაუქმების შესახებ.

○ სამხედრო მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა გერმანიიდან და ოსმალეთიდან ჩამოსულ სამხედრო ტყვეების საჭიროებათათვის 10 მილ. ფონდიდან 50 ათასი მან. გადიდოს.

○ მთავრობამ დადგინა გადაეცეს სამხედრო მინისტრს თავის აზრის გამოსათქმელად განათლების მინისტრის მოხსენება საქართველოს რეგულიარ ჯარში მყოფ მასწავლებელთა და მოწაფეთა განთავისუფლების შესახებ.

○ დღეს შესდგება საქართველოს ეროვნულ საბჭოს კრება.

○ საქართველოს მთავრობამ მიმართა გერმანიის დელეგაციას დანიშნოს თვისი წარმომადგენლები მრჩევლების სხვა და სხვა დარგში. გერმანიის დელეგაციამ დაუყონებლივ აცნობა ეს ამბავი ბერლინში, საიდანაც ამნაირ მრჩეველებს ამ მოკლე ხანში მოელიან. სანამ დანიშნულია სამხედრო საქმეებში მრჩეველად მაიორი გრაფი ვოლფსკელი, რომელსაც ამ დღეებში მოელიან.

○ ამ დღეებში გაუქმებულ იქნება მიწად მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა გამგეობა. სამაზრო საადგილ მამულო გამგეობანი ისევ იმოქმედებენ.

○ თბილისის ბანკების ჯგუფი შეუთანხმდა აფთიაქის პატრონების კავშირს, საზღვარ გარეთიდან მედიკამენტების ჩამოტანაში და აძლევს. მას სესხად 2 მილიონ მანეთს.

○ ამ რამდენიმე თვის წინად არამიანცის სახლში, გოლოვინის პროსპ. უნდა გახსნილიყო დიდი სასტუმრო. „მაჟესტიკი“. არამიანცის დიდ ძალი მოწყობილება ჰქონდა მიღებული მოსკოვიდან, პეტროგრადიდან და შვეციიდან. ეს მოწყობილება სასტუმრო „პალას ოტელს“ სარდაფში ჰქონდა შენახული ფიცრებით და აგურებით გამაგრებული. მთელი საქონელი რამდენიმე მილიონ მანეთის ღირსებულებას წარმოადგენდა. 7 აგვისტოს ამ სარდაფში ჩასულან რაღაც საჭირო შესაკეთებელ საქმისთვის და მთელი ეს მოწყობილება გაძარცული უნახავთ. ძვირფას სავარძლებისთვის აუხევიათ ტყავეულობა, წაუღიათ ძვირფასი საწოლები და მოწყობილება დაახლოვებით $1^1/_2$ მილიონ მანეთის ღირებულებისა. ეჭვით შეიპყრეს მეეზოვე, რომელსაც აღმოაჩნდა ამ განზრახულ სასტუმროს ნივთები.

◆ თბილისის ქართული ვაჭრობა მრეწველობის კავშირმა დაარსა ორი სააქციონერო საზოგადოება: თამბაქოს ქარხნის და ყოველ გვარ საქონლის ვაჭრობის. საქონელი მიეცემა წვრილ მოვაჭრეებს შეღავათიან ფასებში.

◆ ჭიათურა, 6 აგვისტო. ჭიათურაში შესდგა სხდომა შავი ქვის მრეწველთა ს. წერეთლის თავმჯდომარეობით შავი ქვის გადა-

ტანის ტარიფის გადიდების შესახებ. სხდომამ ერთხმად მიიღო ტარიფი—57 კაპ. ფუთზე ჭიათურიდან ფოთამდის.

◆ ამ დღეებში მოხდა გერმანულ-სომეხთა კულტურულ კავშირის საერთო კრება. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა: ამ კავშირს დაერქვას სახელად: „გერმანულ-სომხური კულტურული კავშირი კავკასიაში, არჩეულ განსაკუთრებული კომისიას დაევალა გააცნოს სომხებს გერმანული ლიტერატურა და გერმანელებს სომხური ლიტერატურა, არჩეული იქმნა ახალი კომისია, რომელშიაც შევიდნენ წევრათ ა. ლაისტი, ტერ-მიქაილიანი, აბელიანი, ტერ-გევორგიანი და კანაიანი; დადგენილია: გაიხსნას ოთხ-თვიანი კურსები გერმანულ ენის შესასწავლად.

◆ გზათა მინისტრის განკარგულებით რკინის გზის მთავარი ექიმი ვ. მუსხელიშვილი, რომელიც რკინის გზის კომიტეტის დადგენილებით გადაყენებულ იქმნა სამსახურიდან, ისევ დაინიშნა თავის თანამდებობაზე.

○ კვირას, 11 აგვისტოს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბში შესდგება კრება ქართველ მუსიკალურ საზოგადოებისა, გამგეობის წევრთა ასარჩევად და ქუთაისში მუსიკალურ განყოფილების გახსნის შესახებ.

○ 10 აგვისტოს წყნეთში გაიმართება მიტინგი, სადაც სასოფლო კომისია ჰგზავნის თავის წარმომადგენელს.

○ საკ ალავერდოვი მილიციის ბრძანების შეუსრულებლობისათვის დატუსაღებულ იქმნა 3 თვით.

○ ხმოსანი აბაზოვი ეზოს უსუფთაობის გამო დაჯარიმებულ იქმნა 500 მანეთით.

○ უფროსი მილიციონერი ტერ-აირაპეტოვი თავის ნებით მორიგეობის თავის დანებებისათვის დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

○ სასურსათო მინისტრის მიერ ყირიმში ნაყიდი მარილის ერთი ნაწილი 50 ვაგონი ჩამოვიდა დღეს, 10 აგვისტოს!

○ ბაზარზე სრული წესიერება ჩამოვარდა. განთავისუფლდა აუარებელ წვრილმან ვაჭრებისაგან. ფასები ასეთია: ხორცი უაბროთ 3 მან., აბრით ნიხრზე 2 მ. 40 კ., ცხვრის ხორცი 3 მ., ქონი 4 მ. 50 კ., კიტრი 40—80 კ. ცალი, პამიდორი 70—1 მ. 20 კ., ბადრიჯანი 40—80 კ. ცალი, მწვანე ლობიო 1—80 კ. გირ.; წითელი—1 მ., გირ., ატამი—1 მ. 50 კ. —2 მ. 50 კ. გირ., ქლიავი 60 კაპ.—2 მან. გირ., გარგარი—1—2 მ. ყველი—8 მ. გირ. ხიზილალა—4 მ. გირ.

○ ერევნიდან იტყობინებიან, რომ პირველ კრებაზე სომხეთის საბჭოსა არჩეულ იქმნა საბჭოს თავმჯდომარედ ავეტიკ საჰკიანი, მის ამხანაგებად გრ. ტერ-ხაჩატურიანი და დ. ზუბიანი და მდივნად პ. ზაქარიანი.

○ თავდასხმა. 8 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზე საგანგებო განყოფილების კასას, რომელიც მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა გამგეობაშია მოთავსებული (ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის ქ.) თავს დნეცნენ ბოროტ განმაზრახველები, რომელთაც სურდათ დატყვევება მსახურთა და მერე კასის გატეხა, მაგრამ მსახურებმა მოასწრეს, შეატყობინეს მილიციას, რომლის დანახვაზე ბოროტ განზრახველებმა თავს უშველეს.

○ დეპეშათა სააგენტოს მიერ მოწოდებული ცნობა რესპუბლიკის საეკლესიო და სამოქალაქო ცხოვრებაში ახალი სტილის შემოღების შესახებ, საკათოლიკოზო საბჭოს კანცელარიის განმარტებით სიმართლეს არ შეფერება. საკათოლიკოზო საბჭოს დადგენილებით საეკლესიო დღესასწაულები კვლავინდებურად ძველის დროთა აღრიცხვით უნდა იუქმებოდეს.

○ სამხედრო სასამართლოს სესიის გახსნა. დღეს დილის 10 საათზე დანიშნულია საქართველოს ჯარების სამხედრო სასამართლოს პირველი სესიის საჯარო გახსნა. სესიის გახსნაზე მოწვეულ არიან მთავრობის წარმომადგენელნი, ეროვნულ საბჭოს წევრნი და საპატიო პირნი, სასამართლოს შემადგენლობა შემდეგია: თავმჯომარე პოლკ. ი. ნ. როინაშვილი, ბრალმდებელი. პოლკ. ი. ნ. ვეზირიშვილი. სამხედრო მსაჯულები პოლკ. ე. მაჩაბელი, პრაპ. ვლ. წივწივაძე, გამომძიებელნი პრაპ. მონასელიძე, ლ. კეკელიძე, ჭეიშვილი დ რიტიკოვი. ბრალმდების თანაშემწენი პორუჩიკები მირიანაშვილი და ჩუბიანაშვილი, ხოლო მდივნები სასამართლოს მ. დ. ბარნაბიშვილი, ხოლო საბრალდებლო ნაწილისა ვ. დ. სვიმონიშვილი.

○ გარნიზონის უფროსის განკარგულებით დატუსაღებულ იქმნენ „ბოჟე ცარია ხრანის-თვის რუსულ რაზმის პრაპ. ავსიანი და პრ. ცისეტოვი, მილიციონერის შეურაცყოფისათვის პორ. ბორბახაძე, აფიცრის შეურაცყოფისათვის ჯარის კაცი ვ. ინასარიძე, თავის ნებით სადარაჯოს მიტოვებისათვის დ. ციბაძე.

○ ერობის არჩევნები რომლებიც დანიშნულ იყო თბ. გუბერნიის სხვა და სხვა მაზრებში 2—4 აგვისტოს არ შესდგა.

○ გუშინ გაასვენეს თავის სოფელ სიონში სახალხო გვარდიელის ნ. თ. ნიკაურის გვამი, რომელიც ბნელმა ძალებმა მოჰკლეს.

## საქართველოს წითელი ჯვარი.

წითელი ჯვრის განსაკუთრებულ რწმუნებულის ექ. მ. ო. ზანდუკელის ინციატივით შესდგა პირველი დამფუძნებელი კრება საქართველოს წითელი ჯვრისა. კრებას დაესწრნენ ჩვენში კარგად ცნობილი ექიმები და საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ასეთი საზოგადოების დაარსებითა; ამავე კრებას უნდა დასწრებოდნენ ზოგიერთი მინისტრები და მათი ამხანაგნი, მაგრამ რაღაცა დაბრკოლების გამო, პირველ კრებას ვერ დაესწრნენ.

კრებამ თავჯდომარედ ამოირჩია, თვით მოწვევი ექ. ზანდუკელი, ხოლო მდივნებად გრიგოლ დიასამიძე და ექ. ქუთათელაძე. ექ. ზანდუკელმა გააკეთა მოხსენება და სხვათა შორის სთქვა: დღიდან ჩემი დანიშვნისა, მე შეუდექი წითელი ჯვრის მდგომარეობის გაცნობას და ბევრი რამ დეფექტი ამოჩნდა წინანდელ პატრონთა ხელში, ამიტომ პირველი ჩემი მუშაობა აქეთკენ იყო მიმართული, რომ ყველა ეს თავიდან ამეშორებინა. დღიდგან საქართველოს დამოუკიდებლობისა დამებადა აზრათ საქ. წითელი ჯვრის დარრსებისა საერთო კონვენტის ძალით და ამიტომ შუამდგომლობა ავღძრაი მთავრობის თავჯდომარის ნ. ნ. ჟორდანიას წინაშე და ჩემი მოსაზრებანი წარუდგინე, რაზედაც ახლო ხანში ოფიციალური დასტური მივიღე. ახლა თქვენ მოგიწვიეთ რომ შეიმუშაოთ ძირითადი დებულებანი მთავრობაში წასარდგენათ და მუდმივი წითელი ჯვრის მართველების შესადგენათო.

კრება აღფრთოვანებით შეხვდა წითელი ჯვრის დაარსებას და პატარა კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ექ. ვირსალაძემ, ელიაშვილმა, აბაკელიამ და სხ. დაადგინა: ვესალმებით საქ. წითელ ჯვრის დაარსებას, ვირჩევთ ხუთი პირისაგან შემდგარ კომისსიას, რომელმაც ათი დღის განმავლობაში უნდა დაასრულოს მუშაობა და წარმოუდგინოს საინციატივო კრებას, რის შემდეგ მოწვეული უნდა იყოს საზოგადო კრება:

ვ. ს—შვილი

## ცალკე აზრი ექიმის ს. ვირსალაძის მოხსენების გამო

### „უმთავრესი დებულებანი საქართველოში სასანიტარო და სამკურ. მართვა-გამგეობისა“*).

ზემოდ მოყვანილ დებულების ძირითადი თეზისების განხილვას ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებამ რამდენიმე სხდომა მოანდომა; უმეტესი მუხლი დებულებისა კრებამ მიიღო თითქმის უცვლელად მხოლოდ საჭიროდ სცნო მეხუთე მუხლის გადასინჯვა და მიზან შეწყობილად შემოკლება.

ჩვენ ამ თეზისებში წამოყენებულ საკითხს ცოტა სხვა თვალთსაზრისით უყურებთ და ზნეობრივ მოვალეობად ვსთვლით ამის შესახებ ზოგიერთი მოსაზრებანი გამოვსთქვათ:

მეორე მუხლის თანახმად სასანიტარო მართვა-გამგეობის გეგმა სხვათა შორის დამყარებულია უცხო მაგალითების გათვალისწინებაზე ხოლო მესამე მუხლი საჭიროდ სთვლის საქართველოში საექიმო ნაწილის მართვა-გამგეობისათვის დამოუკიდებელ ორგანოს შექმნას, რომელსაც სამხედრო სასანიტარო ნაწილიც უნდა ექვემდებარებოდეს.

არც ერთ სახელმწიფოში არ უცვნიათ საჭიროდ „დამოუკიდებელი ჯანმრთელობის სამინისტროს“ დაარსება.

სამოქალაქო სანიტარია და მედიცინა თითქმის ყველა სახელმწიფოში შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება, ხოლო პრუსიაში განათლებისას, ბელგიაში ბინად მოქმედებისას და ნორვეგიაში იუსტიციის მინისტრს. ჰუნგრეთში სანიტარულ საქმის სათავეში იგივე შინაგან საქმეთა მინისტრი სდგას.

სამხრეთ ავსტრალიის რესპუბლიკაში ხალხის ჯანმრთელობა სახელმწიფოს პირველი მდივნის გამგებლობის ქვეშ იმყოფება და მინდობილი აქვს ცენტრალურ საჰიგიენო ბიუროს (Central Boardof Health). შვეიცარიაში უმაღლესი სანიტარული მართველობა წარმოადგენს ცალკე სანიტარულ განყოფილებას შინაგან საქმეთა დეპარტამენტისა.

პრინციპიალურად წინააღმდეგი არა ვართ, თუ სხვა სახელმწიფოების გამოცდილებით არ ვისარგებლებთ და ცალკე დამოუკიდებელ სამოქალაქო სანიტარულ ორგანოს დავიარსებთ ცალკე სამინისტროს შექმნაში, რასაკვირველია, ფინანსიური მხარეც უნდა მივიღოთ მხედველობაში. ჩვენ შეუფერებლად მიგვაჩნია სამხედრო და სამოქალაქო სასანიტარო ნაწილთა ერთ ტაფაში მოთავსება და პირველის მეორესადმი დაქვემდებარება.

ავსტრო-ჰუნგრეთში 1870 წლიდან, გერმანიაში 1871 წ., საფრანგეთში 1882 წ., ინგლისში 1898 წ., იაპონიაში, იტალიაში, რუმინიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, ბელგიაში, ისპანიაში და სხვაგან დიდი ხანია დაარსებულია ცალკე სამხედრო-სასანიტარო კორპუსები, რომელნიც სამხედრო-სამინისტროს უწყებაში ითვლებიან. რუსეთშიაც უკანასკნელ ხანებში თითქმის გადაწყვეტილი იყო ცალკე სამხედრო სანიტარული კორპუსის დაარსება, მაგრამ ომის დაწყებამ ხელი შეუშალა ამ საქმის განხორციელებას.

ბულგარეთში განთავისუფლების და დამოუკიდებლობის მიღების პირველ ხანებში სამხედრო და სამოქალაქო საქმეებს ერთი კოლლეგიალური დაწესებულება განაგებდა (საექიმო საბჭო), რომელიც შინაგან საქმეთა გამგეს ექვემდებარებოდა, მაგრამ ადრე სამხედრო სანიტარული ნაწილი გამოეყო და სამხედრო სამინისტროს შეეფარა, ეხლა ბულგარეთშიაც ცალკე სანიტარული კორპუსია.

დებულების მე 6 და 7 მუხლის განმარტებით ჯარის სასანიტარო ინსპექტორი ერთის მხრივ მთავარ სასანიტარო საბჭოს წევრია, ხოლო მეორეს მხრივ იგი თანაშემწეა სასანიტარო მთავარ გამგისა ვიგულისხმოთ ჯანმთელობის მინისტრისა, ასე რომ ჯარის სასანიტარო ინსპექტორს ორი უფროსი ეყოლება, ერთის მხრივ ჯანმრთელობის მინისტრი, ხოლო მეორეს მხრივ სამხედრო, რაც ჩვენის აზრით უხერხულია და მიზან შეუწონელი.

სამხედრო ექიმი პირველ ყოვლისა ჯარის კეთილდღეობაზე უნდა ზრუნავდეს და ამ მხრივ მისი მოღვაწეობა არსებითად განირჩევა სამოქალაქო ექიმის მოღვაწეობისაგან, რომელიც უმეტეს წილად მხოლოდ ავადმყოფს სწამლობს. სამხედრო ერთეულთა სანიტარულ საქმის სათავეში მდგომი ექიმი უნდა იყოს არა მარტო კლინიცისტი, არამედ ჰიგიენისტიც.

სამხედრო ექიმის ზნეობრივი მოვალეობაა და ამას სამსახურიც ავალებს, თვალყური ადევნოს, რომ ჯარისკაცის ჯანმრთელობა არ შეილახოს, ადრე მიაგნოს მავნე პირობებს და შესაფერი ზომებიც მიიღოს, რომ ჯარის სამხედრო ძალა არ შესუსტდეს და თვით ავადმყოფი ჯარისკაცი ისეთ პირობებში ჩააყენოს, რომ სამშობლოის დასაცავადაც გამოდგეს და ოჯახის მომვლელ-პატრონის უნარიც შეინარჩუნოს.

იმ სახელმწიფოებში, სადაც სამხედრო საქმე მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული და სადაც სამხედრო სანიტარის სათანადო ყურადღებას აქცევენ ცალკე უმაღლესი სამხედრო სკოლებია დაარსებული, მაგალითად საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთში, ინგლისში და სხ. ზოგიერთ დაწინაურებულ სახელმწიფოში, მეტადრე სადაც საყოველთაო სამხედრო ბეგარაა შემოღებული სამხედრო ექიმები ყოველწლივ ვარჯიშობენ, აკეთებენ სანიტარულ და ტაქტიკურ ამოცანაებს. ეჩვევიან ტოპოგრაფიულ რუქის კითხვას, ეცნობიან თოფის და ზარბაზნის ცეცხლის ძალას, ვარჯიშობენ ალლუმის დროს, აწყობენ მეომართა ჭრილობის შესახვევ პუნქტებს, ახდენენ საჰიგიენო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევებს და სხვა. ყოველ წლივ სწავლის შესავსებლად იგზავნებიან განსაზღვრული რიცხვი სამხედრო ექიმთა უმაღლეს სამხედრო სკოლებში ან უნივერსიტეტებში.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ მესამე მუხლში შესწორება შეიტანა იმ მხრივ, რომ მიზან შეუწონელად სცნო სამხედრო სანიტარულ ინსპექტორის ჯანმთელობის მინისტრისადმი დაქვემდებარება და თანაშემწეობა, მაგრამ სამაგიეროთ ძლიერ შეზღუდა მისი ე. ი. ინსპექტორის სასამსახურო უფლების და მოქმედების ასპარეზი: მას არგუნა გამგებლობა მხოლოდ საველე სამხედრო ნაწილისა, ზურგის, სათადარიგო და მეციხოვნე ერთეულები, ჰოსპიტლები და სხვა სამხედრო სამკურნალო დაწესებულებანი ჯანმრთელობის მთავარ-გამგეს დაუქვემდებარა.

სამხედრო ჰოსპიტლები ჯარის მიუცილებელი საჭირო დაწესებულებაა. მათი ხარჯთაღრიცხვა სამხედრო სამინისტროს ბიუდჟეტში შედის. სამხედრო მინისტრი, ჯარის მთავარი სარდალი და სანიტარული ინსპექტორი, თვით ერთეულის ექიმიც კი ვალდებულია დაათვალიეროს საავადმყოფოში მწოლიარე თავისი ჯარის კაცი, შეიტყოს და გაეცნოს იმ პირობებს, რომელშიაც ის სცხოვრობს და სწამლობს. განა მოსახრებელი, რომ ერთმა უწყებამ მეორეს კონტროლი გააუწიოს? ეს ხომ უსიამოვნებას გამოიწვევს ორ უწყებათა შორის და საქმესაც ავნებს.

ამ გვარათ თუ ჩვენ გვინდა ჯარი, თუ გვსურს გვყავდეს სამხედრო საქმეში დახელოვნებული ექიმები უნდა მივბაძოთ უცხო სახელმწიფოთა მაგალითს, დავაარსოთ ცალკე სამხედრო სასანიტარო კორპუსი სამხედროსა მინისტროსთან. ამ საქმის მიზან შეწონილად მოწყობა უნდა მიენდოთ გამოცდილ ექიმებს გამოცდილ სამხედრო პირთა თანადახმარებით.

ჯანმთელობის მინისტრს ისედაც ბევრი საქმე ექნება მოსაწყობი და მოსავლელი, რომ ზურგის სამხედრო სანიტარული საქმე მეტ ბარგად აეკიდოს.

სამხედრო ექიმთა ჯგუფი.

*) იხ. ამ წლის „სახალხო საქმე“ № 264 და „საქ. რესპუბლიკა“ № 10.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ყაზახები ეკატერინოდარში.

ზოგიერთ რუსულ გაზეთებში ცნობაა, თითქოს 27 ივლისს ღამით ბალშევიკებს ეკატერინოდარი დაეცალოთ და შიგ ყაზახები შესულიყვნენ.

—

### ჟურნალისტი და აფიცრები,

რამდენიმე კვირის წინათ როსტოვში გაზ. „პრიაზოვსკი კრაიში“ ვინმე სვატიკოვს ყოფილ მეფის შესახებ წერილი დაუწერია, რის გამოც მონარქისტულ აფიცერთა ჯგუფს იგი დუელში გამოუწვევია, მაგრამ სვატიკოვს უარი უთქვამს. მაშინ 17 ივლისს ღამით აფიცრები დასცემიან სვატიკოვის ბინას და მისი მოკვლა განუზრახავთ. ერთი აფიცერთაგანი დატუსაღებულია. ამის გამო სასტიკი გამოძიებაა დანიშნული. ქალაქის აუარებელი მცხოვრები სჩივის ამ მონარქისტული ჯგუფის თავხედურ გამოსვლების გამო.

—

### დატუსაღებულთა განთავისუფლება.

მოსკოვში უკანასკნელ კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულების გამო ზოგიერთი დატუსაღებულები გაანთავისუფლეს. სატუსაღოებში 200-დე მაინც დარჩა, რომელთაც ეკატერინბურგის კონცეტრაციულ ბანაკში გზავნიან. გაგზავნილებთა შორის აგრეთვე იქნებიან ცნობილი კადეტები კიშკინი, კომისაროვი და სხ.

—

### მუშათა რწმუნებულები.

პეტროგრადის ტყვიის მკეთებელ სესტრორეცკის ქარხანაში მუშათა რწმუნებულების კრებაზე გამოცხადდენ წითელ ლაშქრელები, რომელთაც მუშები შეხვდნენ ყვირილით: „მთავრობის ყურმოჭრილ მონებო, გაათრიეთ“. წითელ ლაშქრელებმა სხდომა დახურულათ გამოაცხადეს, მუშები კი არ იშლებოდენ. მაშინ ლაშქრელებმა იარაღი იხმარეს, რასაც შედეგათ 19 კაცის მოკვლა და 60 დაჭრა მოჰყვა.

## განცხადებები


ოჰანეზ მურადის ძე პაილუდიანცი აცხადებს, რომ მან 6 აგვისტოს ღამით დაჰკარგა პასპორტი № 1101-და პარტიული წიგნაკი რუს. სოცრევ. პარტიის მეოთხე კოლექტივის მიერ მოცემული. მპოვნელს ვთხოვ მიტანოს 1-ლ კომისარიატში.

---

თბილისის სამოქალაქო მილიციის უფროსი ამით აცხადებს, თბილისში მცხოვრებმა დავით გერასიმის ძე სანებლიძემ განაცხადა, რომ მას დაეკარგა სასურსათო მართველობის მიერ მოცემული აღმასრულებელი ფურცლის ნებართვა 755 მანეთისა 256 ნომრით.

(3—1)

---

ვანო ხოზიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე 70 მანეთით, გასაღები, პიროვნების მოწმობა ქვემო ჭალის საზოგადოების სამმართველოდან მიღებული. მნახველსა სთხოვს მიუტანოს დიდი ვანის ქუჩა № 3.

(3—3)

---

ვექილობას მიცემულს ჩემდამი ფილიპე გრიგოლის ძე კობახიძეზე და გაკეთებულს თბილისის ნოტარიუს წინამძღვარიშვილთან 27 მაისის 1918 წ. რეესტრით № 70080, ფულის მიღებაზე ადგილობრივ საინტენდანტოდან ასიგნოვკით 10 მაისს 1918 წ. № 37526, ამით ვაუქმებ.

ფოთის პირველი დრუჟინის უფროსი პრაპორშჩიკი სინაროსი.

(3—1)

---

პარმენ პეტრეს ძე ლონდარიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 3190 მიღებული თბილისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან 11 აგვისტოს 1916 წ. 2. საპენსიო წიგნი ქართული რკინის გზის შემნახველი კასისა, მიღებული 1918 წ. № 1895 და 3. მეტრიკული მოწმობები ცოლის, თამარის და ბავშვების, პეტრეს და შალვას სახელზე.

თბილისის მეოთხე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 1916 წ. იანვარში გარდაცვალებულ ვერა (იგივე ვართანუშა) ივანეს ასულის ბიშაროვის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ბიშაროვის ქონებაზე 1241 მუხ. ძალით დადგენილი ვადაში.

17 ივლისი 1918 წ.